ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრების ელექტრონული გამოკითხვის შედეგები (ოქმი № 1)

20 იანვარი, 2025 წელი

დღის წესრიგი:

1. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ

დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

2024 წლის 18 დეკემბერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის №26/29-01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებაზე.

2024 წლის 25 დეკემბერს ჩატარდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის სხდომა.

სხდომაზე განხილულ იქნა წარმოდგენილი პროექტები და თითოეული პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დაფინანსებული პროექტებია:

1. პროექტი: **„საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუცია და განმსაზღვრელი დეტერმინანტები“**

   სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი თემურ შენგელია**

   პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 8000 ლარი.

2. პროექტი: **„სტაბილური ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ეკონომიკური დიპლომატია“**

   სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი რევაზ გველესიანი**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 8000 ლარი.

3. პროექტი: **„გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე: გამოწვევები და მულტილატერალიზმის მომავალი“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 8000 ლარი.

4. პროექტი: **„მდგრადი ურბანიზაციის გავლენა სოციალური და ეკოლოგიური ინდიკატორებზე: ემპირიული კვლევა საქართველოს რეგიონების მაგალითზე“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 8000 ლარი.

5. პროექტი: **„საქართველოში სტუდენტთა მიერ თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი სიმონ გელაშვილი**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარი.

6. პროექტი: **„ციფრიზაციის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარი.

7. პროექტი: **„ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობები MMT-ის (თანამედროვე მონეტარული თეორიის) გარანტირებული დასაქმების (JG) კონცეფციის გათვალისწინებით“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარი.

8. პროექტი: **„რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში საქართველოს მონაწილეობის თანამედროვე პრიორიტეტები“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე**

პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 26 წევრმა.

დადგინდა: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და მათი დაფინანსება წარმოდგენილი სახით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი